ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „ემ ეს ბი“ ს/კ 205088545

დირექტორი გიორგი გოშხოთელიანი პ/ნ 01026007472

განცხადება

(თანხმობა)

გაცნობებთ, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „ემ ეს ბი“ ს/კ 205088545 - ის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის, მდებარე: გლდანი , მიკრო/რაიონი I და II-ს შორის ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 13 ს/კ 01.11.12.016.136 (შემდგომში „საიჯარო ქონება“) დროებით სარგებლობაში გადაეცა სს „ნიკორა ტრეიდს“ (ს/კ 206255808).

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, რომ ზემოაღნიშნულ ფართზე, სს „ნიკორა ტრეიდმა“ (ს/კ 206255808) თავისი შეხედულებისამებრ, კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, განახორციელოს შიდა და გარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სხვა ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებულია მის კომერციულ საქმიანობასთან, აგრეთვე მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდინციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან თანხმობების/ნებართვების მიღება.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, სს „ნიკორა ტრეიდმა“ ან/და სს „ნიკორა ტრეიდის“ ქვემოიჯარემ შპს „ემ ეს ბი“ ს/კ 205088545 - ის საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ქონებაზე განათავსოს ბანკომატი ან/და სწრაფი გადახდი აპარატი, ასევე უზრუნველყოს ამ მიზნით უფლებამოსილი ორგანოებისაგან შესაბამისი თანხმობების/ნებართვების მიღება.

შპს „ემ ეს ბი“ ს/კ 205088545

დირექტორი გიორგი გოშხოთელიანი პ/ნ 01026007472

გიორგი გოშხოთელიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181259783
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.10.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა ხაინდრავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12654477541418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თვრამეტი წლის თერთმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუს შორენა ხაინდრავას ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართა **გიორგი გოშხოთელიანმა,** რომელმაც წარმოადგინა **განცხადება (თანხმობა)** და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი გოშხოთელიანმა** (დაბ. 03.01.1984წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №2 ბ.11, პირადი №01026007472) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ **გიორგი გოშხოთელიანმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ის თანახმად), დღგ – 0.36 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 4.36 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

დანომრილია და

3

ფურცლად

ნოტარიუსი:

NOTARY SHORENA KHAINDRAVA * GEORGIA